



# ТЕАТРИ СЪВОЗДАЧА

1918 № 11 28

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს  
გაუმარჯოს საქართველოს  
დემოკრატიულ რესპუბლიკური საზოგადოების  
გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნების პიპლიკოტეატრი  
თავისუფალ საქართველოში!

## , ТЕАТРИ და ცეРемონია!

წლიურად 15 მან., ნახევრი წლით 9 მან. თითო ნომერი — 1 მან. ხელის მოწერა მიღება: თბილისში, ბაზრის № 20, აღესანდრეს ბალის პირდაპირ, თифლის, რედ „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА“ Йосиф იმედაშვილი

ფასი 1 მან.

ზელიშადი მექევსე გამოცემის



პოლკ. იოს გედევანიშვილი.  
ქართულ პარტიანულ პოლკის  
უფროსი, დარიალის ხელმაში  
სასახლოდ და გმირულად მებრ  
ძოლი საქართველოს მტრების  
წინააღმდეგ

ბენერ გიორგი ვ. ნ. მაზნიაშვილი  
ბარშვევიკების წინააღმდეგ მებრძოლი სოხუ-  
მის ოლქში სადაც სასახლოდ მოქმედებს რა  
საქართველოს მტრებს სასტიკად ამარცხეს ჭირი

## გალიონ ჯულელი

სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი და  
გვარდიის ხელმძღვანელი, რევოლუციის  
და დემოკრ ტიის ერთი სასახლო მოლ.



ქართვლის გულში ვერ ჩააქრობთ მომავალის წმინდა სხივებს,  
მის გულიდან ვერ ჩამოხსნით მის პეინძულ სხივთან მძივებს.

ვერავინაც ვერ შეახებს იმის ჩრდინას თვის ხელებს,  
ნუ ჰეონიათ, რომ დაშორდა ყოფილ გმირებს, თვის ძველებს.

ნუ ჰეონიათ ქართველთ ძარღვში სისხლი ისე არა სდედეს,  
როგორც ციდან სეტყვას, მეხსა თვით ბუნება მოაქუხდეს!..

ნუ ჰეონიათ ქართვლის გული მკვდარი იყოს, არა სძგერდეს,  
ნუ ჰეონიათ, რომ ის ვინმეს თვის კუთვნეულს შეარჩენდეს!..

მამედ უ. აბაშიძე  
ქართველი შემადიანი მოლ  
ვაწე-მწერალი, საქართვე-  
ლოს მომხრეობის გამო  
სმალებმა დატყვევეს, და  
ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს  
სიდანაც იყო. 12 გამოიქა

## გ. ვაცხლუხელი

ქადაგრბეგ აბაშიძე  
საქართველოს ეროვნულ  
საბჭოს წევრი, საქართვე-  
ლოს ეროვნულ გაერთი-  
არების მედაგბეგი ქართ-  
ველი მამადიანი მოღვაწე-  
მწერალი.

# ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი

(თბილისის კონსერტორიის შესახებ)

ნიკოლოზის მთავრობის დროს რო-  
მელსამე მაზრაში ანუ სოფელში უწე-  
სობდა რომ იჩენდა თავს და მაზრის უფ-  
როს ანუ ბოქაულს პასუხს მოსთხოვდენ—  
მაზრის უფროსი ანუ ბოქაული ვითომ  
და გამოძიების შემდეგ მთავრობასთან  
შიგრის აფრენდა მცირე მოხსენებრთ:  
ყოველივე წესზეა („ვსო ბლაგობო-  
ლუჩნოვო“). ამითი მშვიდედოდა უმა-  
ღლესი მთავრობა, ხოლო უყურადღე  
ბოდ მიტოვებული ცხოვრება უფრო მწა-  
რდებოდა, განგებ ხელ დაფარებული ბო-  
როტება უფრო საზარელ ხასიათს იღებდა.

სწორედ ამას მოგვაგონებს ჩვენი  
დროის ხელოვნების ის ჭირისუფალი რო-  
მელსაც ხელოვნების შემაფერხებელ ძი-  
რითად ნაკლებ მოუთითებენ, ის-კი წარბ  
შეუხრელად გაიძახის — ყოველივე თავის  
რიგზე აწყვიათ.

მოგახსენებთ საზოგადოდ ჩვენი ერო-  
ვნული მუსიკის შესახებ და განსაკუთ-  
რებით თბილისის სამუსიკო კონსერვა-  
ტორიაზე, დღემდე რომ რუსეთის საი-  
მპერატორო საზოგადოების სამუსიკო  
სკოლად იწოდებოდა.

როგორც სხვა ბევრი დარგი კულ-  
ტურისა — სკოლა, თეატრი და სხ., რი-  
ვოლიუციის წინა დროის რუსებს საქა-  
რთვილოში ქართველთა გადასაგვარიბ-  
ლად ჰქონიათ დაარსებული, ისევი მუ-  
სიკალური სასწავლებელი მოგვიწყვის  
სულიერად გადასაგვარიბლად. ამის ნა-  
ყოფს დღის ვიმკით: ჩვენი მოწინავე სა-  
ზოგადოების დიდი უმტკისობა გადაგვა-  
რებულია და ქართვილურს გვარს თუ  
ატარებს. წაართვით ერს ენა მეტყველე-  
ბისა, ენა სულიია — მუსიკა, რა იგი არა  
რაღ შეიქმნება, ისეთ არსებად რომლის  
ჯიში ცხოველთ შორის არ მოიპოვება.

კაი ხანია ცხოვრება დაურჩებოთა გვთ-  
ხოვს სამუსიკო ნაწილის გაეროვნულე-

ბასა და გახალხოსნებას. ქართველი სა-  
ზოგადოების ის ნაწილი რომელსაც ჩვე-  
ნი სამშობლო მუსიკის ბედ-ილბალი  
უფრო არცერებებს, ვიდრე რომელიმე  
პიროვნების პატივმოყვარეობა, მოი-  
თხოვდა თბილისის სამუსიკო კონსერვა-  
ტორიაზე ყურადღების მიქცევას. თუმცა  
ამ სასწავლებლის დაარსების თაოსნობა  
ქართველს ეკუთვნის და იგი სასწავლე-  
ბელი საქართველოს დედა ქალაქშია,  
მაინც აქ ქართულს მუსიკას შესაფერი  
ადგილი არ ჰქონდა, მის ჭირისუფლებად  
თითქმის ყოველთვის ქართველთა მო-  
ძულები ანუ არა შემწყნარენი იყვნენ  
ხოლმე

ახლა მაინც დროა ამას ბოლო მო-  
ელოს.

ეს სასწავლებელიც უნდა დაადგის  
გაეროვნულების გზას, მის გამგე დირე  
ქტორად უნდა იყოს ქართველი მუსიკა  
ლური განათლებით აღჭურვილი პირი  
ქართული მუსიკის მცოდნე, და არა რო-  
მელიმე ფილარმონიის მსმენელი, რომე-  
ლისაც მასწავლებლობის ნებაც კი არა  
აქვს; ხოლო ეს იმას არა ნიშნავს, რომ  
ამ სასწავლებელში სხვა ერთა მუსიკას  
არ შეასწავლიან, — არა პირიქით, უფრო  
ბეჯითად უნდა შეასწავლონ, მაგრამ არა  
ხელოსნებმა, კარიერისტ — მოხელეებმა,  
არამედ ჭეშმარიტმა ხელოვნებმა.

შეიძლება ამ სასწავლებელში „პარ-  
ტიტურები დანომრული ყველა თავის  
ალაგზეა და დაკეტილ შკაფებში ინახე-  
ბა“. (პირადად მე ამაში არც კი ვკუთხი),  
მაგრამ აქ სამუსიკო ხელოვნების ული  
თავის რიგზეა, ჩვენი ეროვნული სამუშა-  
ვიკო ხელოვნება წესიერ კალაპოტშია.  
მოწაფე მასწავლებელთა შორის ნამდვი-  
ლი სულიერი კავშირია, რომ ახლო მომა.  
ვალში თუ არა შორეულში მაინც აქე-  
დან სწავლა დამთავრებული ორიოდე

კაცი მაინც გამოვიდეს და ისეთივე ჭი-  
ანი ნაყოფი არ მოგვცეს, როგორც ჩვე-  
ნმა ქართულმა ფილარმონიულმა საზო-  
გადოების სასწავლებელმა?

აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება  
და არა შკაფებსა და პიანინოს.

სანამ ჯერ კიდევ დრო არ გასულა  
საჭიროა ამ სასწავლებელს ნამდვილი გა-  
ნათლებული ხეოვანი პატრონი გაუჩნდეს  
და სასწავლებელიც გაეროვნულების გზას  
დაადგეს.

### ერთობა თუ ეძღვერობა?

ჩვენი სახემშიფოებრიობის შექმნა და თავისუფლე-  
ბის განმტკიცება ღიძს ტკივილებს განიციის.

ერთის მხრით ჩვენის ხალხის დიდის უმეტობის შე-  
უგნებლობა და მეორეს მხრით საქართველოს აშკარა თუ  
ფარული მტრების საქართველოში თავმოყრა აძნელებს  
ცხოვრებას და ჰაერს შხამავს. თავისუფალ სამშობლო-  
საქართველოში ისე ჰერძნობ თავს ვითარება მოძულე  
მტრის ბანაკში: თითქმი ირგვლივ გველები გისისინებენ  
და ელიან წუთს, რომ გეცნენ და ღაგშამონ.

საქართველოს დაუფლების მონატრენი, ხოლო ქა-  
რთველი ხალხის მტრენი თვით ჩვენივე შეუგნებელ შეი-  
ლების დახმარებით ისეთ მდგომარეობას ჰქმნიან, რომ  
ქველი მოგანატრონ, რათა თავისუფლება დაიღუპოს.

ყველაზე მეტად ვინ იზარალებს ჩვენმა, თავისუფ-  
ლებამ რომ წაიბოროდიკოს?

ქართველი გლეხ-კაცობა და მუშა ხალხი.

ამიტომ ყველაზე უფრო მეტად ვინ უნდა იზრუ-  
ნოს, რომ რაც მოვიპოვეთ: თავისუფლება სიტყვის, წე-  
რის, კრების, კავშირის, ბინდისის, ხალხური მართვე-  
ლობის, სრული პილტოკურ თანასწორობის, მოქალა-  
ქობრიობის და სხ.—ხელიდან არ წაგვიციდეს! ისევ და  
ისევ მთელმა ქართველმა ერმა—საქართველოს ყველა  
ერთგულმა შეკილმა, უმეტესად მუშამა და გლეხმა, რა-  
დგან ყველა ზემორე თავისუფლებანი ყველაზე მეტად  
ჩვენთვისაა საჭირო თითოეული ჩვენთაგანი ფხიზელ და-  
რაჯად უნდა იდგას, რომ ეს თავისუფლებანი ვინმე ჩვენ-  
თაგანმავა ბოროტად არ მოიხმაროს, ანუ ჩვენმა მტრე-  
ბმა ფეხქვეშ არ გათელონ.

ყოველი მოწინავე მოაზროვნე და ხალხის მეგობ-  
რის სურვილი ის იყო, რომ ქველი უსამართლო წეს-  
წყობილების დამხიბით ნამდვილი ერთობა, მომა და  
სიყვარული განმტკიცებულყო ხალხში, რომ ერთს მრა-  
ვლისათვის დაედვა თავი, მრავალს ერთისათვის. ამ აზ-  
რის გასამარჯვებლად

ხალხის ერთგული შეილნი არ ერიდებოდნენ ცი-  
ხეს, სარჩობელას, კატორგას და ვინ მოსთვლის რავ-

დენი ახალგაზდას ძვლები ჩაიყარა შორეული ქვეუძიშვილის  
ნამდვილად—კი რას ხედავთ?—ერთობის მაგი-  
ერ—ულმერთობას, ძმობის მაგიტრ თვით ძმათაგანვე ერ-  
თმანეთის ქლეტას. თავისუფლება ყირამალა შეატრიალეს  
და სწორედ, იმას სჩადიან. რაც თავისუფლებას ჩირქსა  
სცხებს და გულ წმინდა მოქალაქეს ბოლმით ამოაძახე-  
ბინებს:

—დმერთო, ეს თავისუფლებაა თუ რაღაც ჯან-  
დაბა აღარ გათვდება!

ნუ თუ ერთობაა, რომ თითოეული ჩვენთაგანი  
მძასა ცდილობს მეორე დასრულს, სიცოცხლე გაუმწაროს?

ნუ თუ ერთობაა რომ წლევანდელი ზღვა მოსავ-  
ლის დროსაც კი გირვანქა ორ კაპიკიანი პური ოთხ-ხუთ  
მანათად ფასობს? რა ქნას წვრილშვილმა, რამელსაც  
შესანახვად ათი-თორმეტი სული ახვევა და შვიდი-რვა  
მანათი შემოსავალიც არა აქვს?

ნუ თუ ერთობაა რომ სოფლის დღიური უხარო  
მუშა ხარიანს ახრიხობს, ხარიანი კიდევ უხაროს ექიშ-  
პება, ორივეს ჭრილით მათ შუა მდგომი უხარო ან არა  
დღიური მუშა გაჭირვებაში სულსა დაფავს და მეზობე-  
ლი მეზობლით ვეღარ გამართულა?

ნუ თუ ერთობაა რომ მთელი გორის მაზრის მხენელ-  
მთვესელი და გონივრულ მეურნეობის მიმდევარი ხალ-  
ხი ან ამოხოცეს, ანუ სიკედილის შიშით სდევნეს და  
ეხლა იგინი თავის ადგილ-მაშულს მოშორებულნი იო-  
წიოდ დალონლიალებენ დედაქალაქში და მათი ნაშრომ-  
ნაამდგარი კი ოხრდება? მოიგონეთ, მაგ სოფლის გან-  
მანათლებული მოღვაწე კანსტანტინე ამირეჯიბი, ცნო-  
ბილი ისია ფურცელაძე, გ. ტატიშვილი, ნკუ კეცხ-  
ველი, ვანო ციციშვილი და მრავალნი სხვანი.

მე მოგახსენებთ, სხვათა შორის, იმ „თვად აზნა-  
ურებელდაც“, „რომელთაც თავათაზნაურობის პერიოდ  
სახელი შერჩენიათ და ბევრს მათგანს მიწის ახალი კა-  
ნონის ძალით (მიწის დეკრეტით) არა თუ ჩამოეჭრება  
რამე, პარიქით, უნდა მუშომოს კიდე ც ნორმის შესა  
ქებათ.

ნუ თუ ერთობაა რომ ჩვენი ქვეყნის რჩეულნი  
შეილნი: სტუდენტობა, ნაშავლი ახალგაზრდობა და შე-  
გნებული მუშა—გლეხები საქართველოს საზღვრებზე ჩვე-  
ნის თავისუფლების ნაძირალ მტრებს გააფრთვებით ებ-  
რძინან, ბზირად მშეირნი ტიტველნი (რადგან ძნელია  
ყოველევი საჩქაროდ მიაწოდო ერთი მხრიდან მეორე  
მხარეზე საწრაფოდ გადასცლის გამო), სიცე-სიცივე შე  
დასუსტებული, სისხლიდან იწყრილებიან და ამავე დროს  
ჩვენი დედა ქალაქი ანუ სხვა უშიშარი დაბა ქალაქები  
აუარებელი მუქთახარა ხალხითა სავსე, რომელიც ნი-  
ადაგ გარმონია-არლინზე ქეთიაბს, სასურსათო (პურის  
შაქრის და სხ.) რაგებში სდეგას, დიდ ძალ სურსათ სთ-  
ქვას უსარებლოდ ანუ ათასგვარ ხრიკებით გლეხის ნა-  
შრომს ხელში იდგებს, რომ მერე ერთი ათის მოვებით  
ბეჩავ ხალხზევე გაცყიდოს. გაიარეთ ქალაქებში და ანა-  
ხეთ ვინ და რა ჯურის „ვაჭარი არ ვაჭრობდეს ყოველ  
გზა-ჯგარებინზე“, მეორე მეფეურნეს პური არა აქვს, აქ-  
ცი ჩარჩის ჩარჩები ან ათასგვარი წურბელები საცოდა  
ხალხს სისხლს სწუწნიან.

ნუ თუ ერთობაა, ათასი ჯურის უცხო ტომის ლტ

ლვილი აქ ნებივრობდეს, ჩვენის ქვეყნის სიამით სტკბებოდე, ქართველი ერის რჩეული შვილი კი მათ სარჩენდა საქართველოს შეყვებისა?

ნუ თუ ერთობა, რომ ჩვენს სოფელში სინათლის შემტევას, ჩვენის მომავალის ნუგეშის მომცემს — ახალ თაობის აღმზრდელს მასწავლებელს სიმშილით ვკლავთ ცხოვრების სახსახს უსპობთ, სრულიად უმნიშვნელო ჯამაგირსაც კი არ ვაძლევთ მაშინ, როდესაც სხვა მუქთა ხორათა სასუქად ყოველივე უხვად იშოვება?

ნუ თუ ერთობა, რომ სხვა და სხვა დროის დეზერტირები ვაჭრობა — ჩარჩობით ანუ ზოგიერთა საპატიო ადგილებზე მოკალათებით ფულებში კოქაობენ, ბატონობენ მაშინ. როდესაც მართლა და მებრძოლი მხედრობა, ქვეყნის სამსახურსაც კი ჩამოშორებულია თვისდა უნებლივოთ!

ნუ თუ ერთობა, რომ ქვეყნის გასაჭირის დროს ზოგიერთი სოფელებიდან თუ გამოვა რავდენიმე გვარდიელი, უმეტესობა გატაცებული თოფით სახლში ნებივრობს და წასულთაც კი მასხარად იღებს, ანუ ცხადდება — ჯარი უნდა შეიკრიბოს, და სოფლის აზალგაზდობა — კი ბაიბუათაც არ იმჩნევს, — ხალხი უყურებს — თუ გაიყვანეს, სხანს მთავრობა ყოფილა, თუ არა და მთავრობა არა გვყოლია, უპატრონია ქვეყნაა, უპატრონო ერი ჰქონდა და წარსტაცე, შეგრჩება.

ნუ თუ ერთობა, რომ დღესაც საქმის კაცი, ესა თუ ის გამოსადევი ქართველი მოხელე, ხელოსანი, ოსტატი პარტიულობით აჩჩევა, რის გამოც ბევრი საქმის სასარგებლო კაცი გარედა რჩება — იღუპება იგი და მასთან საქმეც — და საქმეს სათავეში ექცევა უფიცი, საქმის არ მცოდნე კაცი!

დიად, ყოველივე ეს და მრავალი ასეთი სენი გჭირს, ჩემი საყვარელო, სამშაბლოვ, დროა იმყურნალო. ერო ჩემო, თუ შენც გსურს ერთა შორის ერად იხსენიებდე და დემოკრატიული რესპუბლიკა შეინარჩუნო, შეგნებითაც უნდა უპატრონო თავას შენს თორემ ცხოვრება, „ვაი დედას „ამოგვაკვნესინება..”

კარა ასეთი, ერთობა: „ ხალხს უნდა ნამდვილი ძმობა, ნამდვილი ერთობა, მეზაბლობა, სიყვარული, ერთმანეთის გატანა, სააღმშენებელო საქმიანობა. ნამდვილი სახემშიფო მოღვაწეობა, მშვიდობიანი ცხოვრება, იაფი ჟური, იაფი ჩასაცმელ — დასახური, მშვიდობიანი მიმოსვლა, წესიერი უფასო სწავლა-გნათლება, და ერთი ძლიერი მთავრობა და კანონიერი მართვა — გამგება.

ამიტომ საჭიროა, დღეს საჭართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქემ ზურგი გაუმაგროს და მხარი მისცეს ჩვენს მთავრობას შინაურ უწესობის ჩაქობაში და და გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რომ ჩენ ნმა მთავრობამ თავისი ვალი დორსეულად შეასრულოს.

ცხოვრების სასტრიკი კანონი — ჩვენი დროის სინამდვილე და ყოველმხრივი გაჯავრება ხალხს რკინის ქალივით ეჭირება ირგვლივ სუნთქვაც ნელდება... ხალხს შველა უნდა, მიკემულ თამასუქის განაღლება...

ჩვენის ქვეყნის მესვეურნიო, დროით გამოხსენით ეს გორდიონის ნასკვი, თორემ მერე გვიანდა იქნება თითქე კბენანი!..

## ს ე ზ ი გ ლ მ ხ მ ხ ე ვ ა რ ა რ ა რ ა



დიმიტრი (მიტო) იერემას ძე

გულისაშვილი

ჩვენი განთავისუფლებული სამშობლოს დამოუკიდებლობა მსხვერპლს მსხვერპლზე ითხოვს, შვარაკს ზვარაკზე... და ჩვენი შეგნებული ახალგაზღმობაც — დემოკრატიისა და მამულის მოთხოვნილებათა მტკიცებამცველი რიგში სდგას, ერთი მეორეს ეცილება: არა მე ვასახელო სამშობლო, არა მე ჩემის გმირულის თავდაუზიგველის სიცოცხლის განწირებით...

ასეთი იყო დიმიტრი გულისაშვილიც, ჩვენდრამატურგ — მასწავლებლის იერემის გულისაშვილის შეილი, გარეკანელი (ს. გიორგიშვილიდან), ახალგაზი და იაფიცერი (ვ. წ.) რომელიც პოლკოვნიკი იისე, გედევანიშვილის პარტიზანულ პოლკში მსახურებდა, ანანურთან დაიკრა მესამედ და ჭრილობით გარდაცვალებული წარსულ სუთმაბათს დიდუბეში დაკრძალეს.

მისი ნორჩი ვაკაცობა, გმირული თავგამოდება და სამშობლოს საკეთილდღეოდ ცეცხლში ტრიალი, სამარესთან მშვენიერი სიტყვებით დაახასიათეს და ი. მირიანშვილმა. ვ. კოტეტიშვილმა ს. დადიანმა, ალ. წერეთელმა, მ. ხერხეულიძემა და სხ.

დიმიტრი უმაღლესი სასწავლებლიდანვე საერთაშორისო მიანაბის გამო რცისი მხედრობაში გაიწვეს დიდ ხანს მსახურებდა ოსმალეთისკენ. რევოლიუციის შემდეგ სამშობლაში დაბრუნდა. ჩაეწერა ქართველთა პარტიზანულ პოლკში და მუდამ გატაცებული იბრძოდა. ვითარც შექვერის ქართველ მამულიშვილს. უკვე დაჭრილს ურჩის შინ დაბრუნდით მაგრამ მან სამშობლოს განსაცდელს თვისი განსაცდელი იტჩია. მეორედ რომ დაიჭირა, თვითონვე შეიხია, თურმე, ჭრილობა და კვლევ განაგრძო მტრის შეტევა, რომლის დროსაც გმირულ ბრძოლაში განგმირული დაეცა.

მისი ნორჩი სიცოცხლე სადღეგრძელებად შეეწირა სამშობლოს, ხოლო: ნადრავად დანთხეული სისტლი მისი ახალს გმირებს აღზრდის მამულის დასაცელად. თავისუფალი საქართველო მუდამ მაღლობით მოისენიებს სახელსა მისსა...

იოსებ არიმათიელი

## გ. მ. შ ა რ ვ ა შ ი ძ ე

ნიკო თავდგირიძის სიტყვა

(გაგრძელება იხილე „თეატრი და ცხოვრება“ № 10).

შენმა განსაკუთრებულმა ორიგინალურმა ბუნებამ მთელი მოძრავი შეიღო შექმნა ახალგაზრდის მისაბა-ძავად და განსაწრთვნელად. შეიძლება დაბეჯირებით ითქვას ესე რომ ოცდა ათი წლის განმავლობაში ბევრი თავითმწონე ახალგაზრდა ჩვენებური შენი მაგალითით სა-რეგბლობდა გარეგან ჩატულობის ფილობის და პლა-სტრუ მიხერა—მოხერის განვითარებაში. ამა თუ იმ-ხალხის კულტურა მარტო წიგნებით კი არ შეისწავლება არამედ კერძო პირთა ზნე—ჩვეულებით და ყოველი- ვე ცხოვრები. რითი გადავიხადეთ, რა პატივი გეცით ყველა შენი ჩვენი ბერავი ხალხისადმი სიყვარულისა-თვის, წინააღმდეგ, არც ერთ მცირეოდენად ხალხის ერ-თგულს ისეთი ცოტა ყურადღება და ხშირად ბევრი უსა-მართლობა არ სწვევია წვედრად რაგორც შენ: მთელი საუკეთესო ადგილები ამ ედემისებურ ქვეყანაში—აბა-ზეთში შენ მემკვიდრეობით გეკუთხნდა და შენი ხასა-თის დიადობის გამო, შენი ერის ბატონებისადმი და ჩაგვრელებისადში გულახდილად, ვაჟ-კაცურად, კეთი-ლს მშობლურად წინააღმდეგობისათვის ყველა ეს სიმ-დიდრე ძალით წაგართვეს და შენი ხალხის მაგირების მოძულე, მოწინააღმდეგე რუსის მოხელეებს დაურიგეს შენკი ორი ქცევა მიწა გენატრებოდა შენს ქვეყანაში. ჩვენ—კი, შეგნებული ნაწილი, საზოგადოების, არავი-თარ ჩვენ აღმფოთებას არ ვაცხადებდით ამ უგვან, უსა-როლო საქციელისათვის, უბრალო თანაგრძნობის გამო-ცხადებასაც ვერ ხედავდი ჩვენი მხრით; შენ-კი რაინ-დული მშვიდობიანობით და დიდსულოვანობით იტანდი ყოველივე სასჯელს; ხშირად მონური გრძნობის გამომ ქლავნებითაც შეურაცყოფლათ შენ კეთილ შობილებაზე რაც ჩვენ-გიცნობდით, შენს სახელს ვახსენებდით რამე საპატიო, მნიშვნელ: ვან ასაჩჩევ თანამდებობაზე ბევრა რუსული აზროვნობით აღწილი ჩვენებურობა, ეხლა ყველა რევოლუციონერებია, ხმა მაღლა გინახოდა: მი-ორგი შერგაშეაძ ხელმწიფებს არ უყვარს, მთავრობა მი-სი წინააღმდეგია და მისი არჩევა არ შეიძლებავთ. შენი ხალხისათვის თავისუფლების მოპოვების ხმა მაღლა აღ-ვიარების გამო იმ ღრმას, როცა ყველა წრის ჩვენ სა-ზოგმორებას ღვთის წყალთბათ მიაჩნდათ რუსის მთავ რობის ყურადღება, შენ აღგრძალული გქონდა შენს სა-მშობლოში—აბაზეთში ხანვრძლივი ცხოვრება, მხო-ლოდ 1905 წლის შეკვეცელ უფლებათა მოპოვების შემ-დეგ შესძლ დაუბრკოლებლად აქ გეცხვორი; დაუყო-ნებლივ მოაშურე შენს ქვეყანას, მაგრამ რა დაგვდა? იმ აბაზებმა, რომლების ღირსებას უცხოელება შენით პატივს ჩერებენ, რომლების თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი დიდებული კარიერა ყოველი- ვე შენ ქონება სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერცვი შემაჩინეს. ყოველივე შემთხვევაში შენი აქმონით ვერ ისარგებლებ. თუ ეს გარემოება მოსათმენი იყო ამ ღრი წლის წინეთ, ეხლა ამ ქვანასკვნელ ღრმას როცა ყველა ეროვნებ ს მიენიჭა თავისუფლად ამოსუნთქვის უფლება, შენდამი უყურადღებობა სწორედ დანაშაულება იყო. თამაშად შემიძლია შენ კუბისთან გამოვსოქვა, რომ შე-ნისთანა რაინდული გრძნობით აპურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შეგნები, დაცველი და უ- ნგარო მოყვარული არა თუ აბაზეთს, მთელ საქართვე-

ლოსაც რომელიც რიცხვით და განათლებული ხაზე დოქტორ უფროი ძლიერთა, ამ უამაღაც არა ჰყავს. რა უსამართლობა, რა ირონია ცხოვრების: მთელი შენი მშენებრივი, მომხიბლავი ახალ-გაზდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავე გა- რემოვება მსხვერპლად შესწორე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ ფენტვის ცხოვრებაში ერთად-ერთ საფასურ-გა- ნძს—აბაზეთს თავისუფლება მოვლინებადა და შენ უკა- ნასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიჭებობოდი მას მაგრამ შენმა სიყვარულმა ხალხმა—აბ ხაზებმა გვერდი აგიხვია, ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუ- სის აღზღა—აზროვნება—მიმართულებით გაუდენითილ ადა- მინებს მიჰყა, რომელთან გრძოლას შენი ხალხის და- ჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა მორის აღიარებული- ბედნიერება შესწირე.



პავლე საყვარელიძე

საქართველოს მთართობის მომბის გაზეთ „საქართველო რესპუბლიკა“-ს რედაქტორი. (გაზეთი გამოვიდა ივლი- სის 25, 1918 წ.).

დილის რიცხაზე ცას გავყურებდი,  
ღ უბელს ღრუბელი ემატებოდა,  
ყოველის ჩხრიდან მოჰქმოდა სული  
და ცის კარებთან რიგში დგებოდა...  
ღრო არს მტარვაღითა შურის ძიების!!.

რ-ერავა მწარეთ გაიძახოდა!—  
არვრნ ელადა სასწორს ცოდვისას,

წარსული ყველის დაგიწყებოდა...  
და ძირს ქვეყანა, აოხერებული,

წამების ზღვაში დასცურაობდა, —

და მზეც ებრძოდა ბოროტ ავსულებს,  
ქვეყნის სახსნელიად ეშურებოდა!..

## სიკვერულის ნოვათი

გუშინ ისე ჩქარა რად გამირბინე გაბუ-  
ტულია? ძლიერ მოვკარი თვალი შენს გულზე  
სასიკვდილოთ გაძაღებულ ვარდს, მაგრამ ის  
ვარდი, მე რომ წინადღით ბრმა მრყვავილე-  
ბან გიყრდე, იმას არ ჰგავდა... ალბათ ჩემზე  
გაჯავრებულმა, იმ ვარდზე იყარე უინი. ვინ  
იცის საცოდავმა ვარდმა როგორ იდგილას  
დალია სული... რას ერჩოდი? ის ხომ უმანქო  
ვარდი ცყო—მას ჯერ არ განეცადა ბოროტი  
ადამიანის ყნოსვა,—ხომ იცი მე ნაყნოსვი ვა-  
რდა რ მიყვარს... მინდოდა უკან გაოგდევ-  
ნებოდი, მაგრამ ჩემი ვარდი რომ ვეღარ დაგი  
ნახე გულზე, უცბათ უეხერდი... სუნთქვა შე-  
მეკრა, ვერ ვისვენებდი... შემძაგდა მოსეირნე  
ბრბო, რომელიც ჩემს გარშემო დაფუტუსე-  
ბდა... ყური მოვკარი, თუ როგორ ეფიცებო-  
და ქალი ვაჟს: „ქალა გამიშვი, ჩემო კაც გო,  
დედა ავად არის! ხვალ-კი აქვე შევხვდეთ ერთ  
მანეთს და ლიზანსც არ მოგშორდები, ეხლა  
კი, ეხლა“... და თან აღერსის ნაცვლ  
თმაზე ნაზათ უცაცუნებდა ვარდს, რომელზე-  
დაც ელექტრონის შუქი ვერცხლისფრად აციმ-  
მციმებდა საღამოს ნამს. ვაჟს კი მაგრად ჩა-  
ქიდნა ქალისთვის ხელი და არცი ესმოდა მი  
სი მუდაც. „ეგრე, ეგრე არ გაუშვა, მინდო-  
და შემეძეხა ვაჟისათვის, თორემ ვინ იცის  
იქნებ ხვალ შენც უხრდ გაგირბინოს შენმა  
სატრფომ, იქნებ ჩაგ შენს ვარდსაც ის ბედი  
ეწიოს, რაც ჩემსას“...

მოფუსფუსეთა შორის უგულო სიტყვებს  
საზღვარი არ ჰქონდა.

სატრფოც-კი ატყუებს, ოურმე, თავის  
მიჯნურს, მაშ სად არის მეგობრობა, სიყვა-  
რული თურმე არსად; თვალთმაქცობით და  
პირფერობრთ ყოფილა სავსე ეს ქვეყანა...

არა, როგორ ვიფუტებდი, რომ იმ ვარ-  
დის ყადვის დროს შენი მოპიკჭე ენა, რო-  
მელიც იმ ვარდზე უფრო ვარდისფერიად მეტ-  
ყველებდა, დღეს ჩემთვის დასდუმდებოდა!..  
ან შენი ცელექი სახე და მასზედ ჭკვიანად მო-  
თაცაშე თვალები დღეს ასე შეიმოსებო-  
და ღრუბლებით. . რად დამემდურე? მე კი მე  
გონა, რომ ჯერ შენმა გულმა არ იცოდა,  
თუ რა არას დამდურება, სხვისადმი მტრობა.

რომ შენი სული არ არის ნაჩვევი გაბუტყავა.  
ის წმინდა მეგონა ისე დაეკლული იქსოსს ხა-  
ტის წინ საიდუმლო სიყვარულის ტაძარში ნო  
ებული ქრისტეს ვოსიყვარულე ქალწული  
საგან ჩამოქნილი თაფლის სანთელი.

ამ სიყვარულის მწარე ფიქრებში ვიყავი  
გართული, რომ მომესმა: „გაგარჯობათ,“ და  
ჩემს გვერდით ის ქალი დავრნახე, რომელიც  
შენ წინადღით გამაცანი... გაშტერებული და-  
უწყე ცქერა, დიდხანს ხელის ჩამორთმევაც  
კა ვერ მოვახერხე, სიტყვეს თქმას ხომ სრუ-  
ლიად ვერ ვახერხებდი... „ლელი რად გააჯავ-  
რეთ?“ დაარღვია ისევ მან სტუმე— „მე... არა  
ფერი არ ვიცი„... დაბნეულათ, აკანკალებული  
ხმით უპასუხე.

„როგორ თუ არ იცით? სად გაგონილა  
დამის თორმეტ საათზე ახალგაზდა ქალი მა-  
რტო გაუშვას, კაცმა შინ, სად ნახულა? გეტ  
ყობათ ჯერ უატა გიცხოვრიათ.

ახალმა შეურაცყოფამ სულ დამიბა ენა  
და ლიეს უპასუხე ლუდლულით:— მე დიდხანს  
ვეხვეწე, ვემუდარე ნება მიეცი, მაგრამ... მან  
უარი მითხრა.

ოხ, რა სასაცილირ ხართ ვაჟები: თქვენ  
სიცოცხლეს ქალების ტრფობაში ატარებთ,  
მაგრამ ქალებს მაინც არ იცნობთ; მართალია  
ლელიმ უარი გითხრათ, მაგრამ გულით-კი ძა-  
ლი.ნ უნდოდა, რომ გაგეცილებინათ, ის თქვენ  
გცილდათ.— როგორ მე ის მუდიდა? გავაწყვე  
ტ ნე შენს ამხანაგ ქალს, — მაშ რა ფასი ჰქო-  
ნია ჩემს სიყვარულს?

— თქვენ ის სრულიათაც არ გიყვართ; მაშ  
თუ გ-ყვართ, რატომ ამდენხანს არ ცნოთ  
თქვენს გულის სიყვარულის გულისცის,  
თქვენ მას ხოლოდ ეთამაშებით. და ამ მწარე  
სიტყვებით გამოუშვიდებლ ათ გამშორდა.

ჩემი სული უფრო მაგრა შეიძყრო კაეშა  
ნმა: როგორ? გავითიქე მწარედ: ლელიმ, ჯერ  
კიდევარ იცის, რო ჩემისული მას სსიყვარულოდ  
ეთამაშება? ნუ თუ საჭიროა შაბლონურად,  
„სრულის ახსნა: “ მიყვარხარ შვერნიერო  
უშენოდ სიკერცხლე ვერ წარმომიდგენა...“  
როგორ შეგძლო ჩემი კორძიანი ენით მეთქვა  
რს, რასაც უხმოდ გეუბნეოდ, თვალების ჩურ  
ჩულით, მაგრამ გეტყობა ჯერ შენ კიდევ არ  
ხარ გიჩვეული თვალებით ლაპარაკე...“

ესწრე: ფე ცელქო, მიეჩიოთ თვალებით  
ჩურ ჩულს, ხომ ხედავ რა მოკლეა ჩვენი სიცო  
ცხლის დღენი...

გრ. საქარისტედელი

# ცხოვრების გზაზე

აიხადე მასკა, აიხადე!.. მე მინდა ვიცოდე ვისთან  
მაქვს საქმე!.. აძლენი ჩანია შენთან ვსცხოვრობ და  
ჯერ კიდევ ვერა გცნიბ!..

—საკვირებელი კაცი ხაჩ! აბა რა ჩემი ბრალია?  
დამაკირდი და გაიგებ... მე კი შენ კარგად გიცნობ!..

—ჩემი ცნობა სულ ადვილია... მე უმასკოდ  
ეცრებობ, უმასკოდ!..

—შენ ისე გინდა, რომ ყველა შენსავით ფიქრო  
ბდეს, ცხოვრობდეს და აზროვნობდეს... ეს კი შეუძლებელია, შეუძლებელი...  
—არა, სრულიადაც არა... მე მხოლოდ, ის მინდა  
რომ ადამიანი ადამიანობდეს. ის ყოველთვის პირდა-  
პირობებს და არა მეღლაკულაობდეს...

შენ კი ყოველ დღე იკვლები. რამდენჯერ არ  
მოგენდე. არამდენჯერ არ დავიჯერ შენი და ყოველთ-  
ვის მოტყუებული დავრჩი... გუშინ სხვა იყავ. დღეს  
სულ სხვა ხარ და ხვალ კიდევ სულ სხვა მასკით წარ-  
მომიდგები... არ არის კარგი, როცა ადამიანი მასკას  
ატარებს ცხოვრებაში. იგი მხოლოდ სცენაზეა საჭირო.

—რად არ იცი, რომ ცხოვრებაც იგივე სკენაა.

—ასე ყოფილა, ასე... ჩენ მხოლოდ ერთმანეთს  
ვატყუებო, ერთმანეთს...

—დას. და ამას გვიკარნახებს არსებობის საკი-  
ონი. ხომ ხედავ, ლევანანთ გიგა „ოვარ ელაქუცება  
თომანათ შექროს, გიგამ კარგად იცის შაქროს ორები,  
მაგრამ მაინც მას აქებს, ადიდებს. გიგას სურს შაქრო  
მოხიბლოს და რამე გამორჩეს... და აკი აღწევს მიზანს.  
შაქრო კიდევ სრვას უხვევს თვალებს და ასე... ის ყვე-  
ლაზე კარგად სცხოვრობს, ვინც უფრო დახელოვნებუ  
ლია ამაში.

—და მერე ეს ადამიანობა? ეგ ხომ ფლიდობაა,  
გაიძეგომაა!..

—რაც გინდა ის უწოდე, მაგრამ... მაგრამ ეს  
მაინც ასეა... ასე...  
—მაშ ჩემისთანებმა რაღა ჰქნან... ვის უნდა მიე  
კედლონ?

—თავისთანებს!.. ან კიდევ ისწავლონ ცხოვრების  
ხერჩი. სხვებს მიბაძონ..,

—არა, არა. მე არ შემიძლიან ასე მოვიქცე...  
მასკა ავიფარო, არა...  
—ცხოვრება გაიძულებს. აღრე თუ გვიან ის თი  
თონ აგაფარებს მასას. არა და... ვერც იცხორებ, ვე-  
სმის?..

—ექლები. მხოლოდ ექლები ამ ქვეყნად!.. ვისაც  
რამე ვთხოვე, ყველამ გვერდი ამიარა... არავინ არ  
მოიხედა ჩემსკენ, არავინ!.. წუწუნობდა ერთი.

—მი? ველეთ... დამეჩმარეთ... სამი დღეა არა  
მიქამა არა... შიმშილით სული მხდება... მიშველეთ...

—ღონემიხდილად გაიძაროდა შეორე.

—ადამიანი გულქვაა. შეუბრალებელი. —განაგ-

რძობდა პირველი, ის მჩულაზ მას აძლევს. კაჯვანავა  
გამოელის... ჩენ ხომ სამაგირებას ვერას მიუწლავთ...  
ამ გზაზე ბევრ ჩენისთანას უვლია... ჩენც მანამ ვია-  
როთ, სანამ სული გვიდგა...

—მართალია მაგ, მართალი. —უპასუხებდა მე-  
ორე, ყოველივე ტყუილი ყოფილა, ტყუილი... ძმობა  
მეგობრობა. სიყვარული მხოლოდ ქონებით ყოფილა  
გამოწვეული... ბიზმარივით მაგონდება განვლილი დრო.  
ერთ დროს მეც მქონდა საკლკარი... ქონება... ჩემი  
სახლის კარები მუდამ ლია იყო ყველასათვის... მაგინ  
დებიან მაშინდელი მეგობრები... როგორ მეფიცებოდ-  
ნენ ერთგულებას..., სიყვარულს... ძმობას... მეგობრო-  
ბას... მახსოვს, ზოგიერთმა თავის დადებაც კი შემომ-  
ფიცა, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა ჩემთვის... მაგრამ.  
მიმართლა ბედმა, ქონება გამეფლანგა და...

დღეს კი აღარავინ არ დამრჩენია.., ყველა ჩამო-  
მეცალა... ყველამ დამივიწყა .. აქა-იქ ნაცნობ-მეგობ-  
რებას ვხვდები... ბევრი მათგანი თვალს მარილებს, ზო  
გი კი ასე მეუბნება: “აბა რას ჩმახავ. როდის ვიყავი  
შენი ტოლიო...“

—ადამიანი ღრუბელსა ჰგავს, ღრუბელსა. —გაი-  
ძახოდა პირველი, ტიალა ქარი მას ხან მზესთან გაუ-  
ჩენს ბინას და ხან კიდევ ჭაობში გადასტყუირცნის...  
ადამიანიც ეგრეა... ბედი მას ხან მეფედ დასგამს და  
ხან კიდევ მონად გახდის...

—მაშ რათ არ ეშინიათ მათ, რომელნიც დღეს  
ბედს მეფეთ დაუსვამს... რად არ ფიქრობენ, რომ ხვალ  
ზე შეიძლება მათაც ეს დღე ეწვიოთ... რად არიან  
გულგვავები... იმათაც ხომ ასე მოექცევიან? —ეკითხე-  
ბოდა მეორე.

—ისინი, რომლებიც ფუფუნებაში და განცარო-  
მაში არიან, ერთი წუთითაც არ დაფიქრდებიან ჩენის-  
თანების ცხოვრებაზე. . ვერც იმას წარმოიდენენ, თუ  
ოდესმე ცხოვრების ჭაობში ჩაციიან.., ჩენისთანებს  
ისინი ზიზლითაც-კი უცკერიან... ხან კიდევ დასცინიან,  
მაგრამ, როცა ამ დღეში ჩავარდებიან,—მწარედ ჩაფი-  
ქდებიან.., მაშინ კი ინანებენ. მაგრამ გვიანდა იქნება,  
გვიანდა...

—მამი, რა მშენივრად უკრავდა ორკესტრი...  
რა ჩინებული მომღერლები იყვნენ.—ეუბნეოდა ახალ-  
გაზდა ქალი თავის მამას..  
ერთობ საამო მოსამენი იყო... ხვალ კიდევ გამოჩენი-  
ლი მუსიკის №-ში მართავს კონცერტს...  
—

—მამიკ რა კარგი იყო განსაკუთრებით უკანას-  
კნელი ნომერი... ახალგაზრდა მომღერალმა რომ ერთი  
არია შეასრულა... რა მოშინდლად მღეროდა... რაი  
ტკბილი და სამური ხმა ჰქნდა...

—ო, მართლაც რომ ჩინებული იყო. ეტყობო-  
და გამოჩენილი ვინმე უნდა იყოს.., ამბობენ ის მომღ-  
რალი ქალს ვძებს ლამაზსა და ქონებიანსა. აბა შენ,  
ჩემო ცუგრუმელა, სილამაზით ვინა გჯობს? ვეცდები...

შენზე გათავდეს საქმე. დღესვე ვინახულებ ჩვენს მეგობარს №-ს. ის უფრო გაარაგებს ამას. ასეთ საქმეში ის უფრო დახელოვნებულია... მე კი, ჩემო ცელქო, არა ფერს არ დავჭიდავ..., აუარებელ სიმდიდრეს გამოვიდებ შენთვის... მზათა ვარ მშითვად მოგცე ჩემი უდიდესი ქარხანაც კი.. იმედი მაქს საქმე კეთილად დამთავრდება.

— ჩემო ძვირავს მამიკო, ჩემო მშენებირო. რა ბენიერი ვიქენები მაშინ. რა ბენიერი... განა მარტო მე? მთელი ჩვენი ოჯახი. საგარეულო... შეხედულობითაც წომ მშენებირია. ლამაზი და მიმზიდველი..

აბა, მამიკო, ვინძლო მალე გაარიგო საქმე, ვინძლო მალე — აღტაცებით გაიძახოდა ცელქი ქალი და სიხარულის ნიშანად კისერზე ქვეყოდა.

— ეცდები, სულ მალე გავიჩალო საქმე, სულ მალე. სხალ დედასაც დეპეშა დაფუქრათ, რომ საჩქაროთ ჩამოვიდეს...

— ჩინებული საქმეა' მამი, ჩინებული... დედასაც წომ ძლიერ გაეხარდება... ხა, ხა, ხა, ხა,.. რა ბედნიერ გაეხარდება... ხა, ხა, ხა, ხა,.. რა ბედნიერ

რი ვარ... მაშ ასე, მამიკო... კიდევ რომელიც და რომელიც გამოჩენილი მომლერლის ცოლი შევიქნები.. მერე უნდა უყურო, რა პატავით მომეცყობიან... რა სახელი მექნება... ყველას შეშულდება ჩემი ბედი... არა, მამიკო?

— ჩუ... ეს რა არის, რომ ასე გულაკლავთ გაჰკიცის... იგი თითქო მომაკვდავ ადამიანის კვენესასა ჰყავს,

— მიშველეთ... შიმშალით სული მზდება. ვკვდები... მიშველეთ. — გაისმა უკანასკნელი ამოკვენესა ბედით დასჯილსა. .

დიახ... ის არის, ის...

უბედური. ობლათ დაეცა ცხოვრების გზაზე.

ყველასაგან დავიწყებული. ყველასაგან მიტოვებული..

ო, რა ჭრელია. რა მრავალფეროვანია შენი გზა ცხოვრებას. იქ. სადაც ბედით დასჯილთა კვენესა და ქვითინია, ცხოვრებით უზრუნველთა და განცხრაშია შვილია სიცილ — ხარხარი გაისმის...

ლ. ძიძიგური



### ქართველი ლეგიონერები გერმანია-ოსმალეთში

1. ნესტორ მალალაშვილი, ლეგ. შტაბის უფროსი და ქართ. კომიტეტის წევრი, წარმომადგენელი სტამბოლში; 2. ზო-ბერი აბაშიძე. ქართულ კომიტეტის წევრი; 3. პარფიონ გვიშიანი, 4. სერგო ლაბაძე, ტყვიის მფრქვეველთა რაზმის კომანდირები; 5. შალვა წერეთელი, ქართველ ლეგიონის ასეულის თუიცერი; 6. ახმედ დევაძე, 7. ლეო ჭყანა, 8. ალექსანდრე ცაგარეიშვილი, 9. კოსტა ინასარიძე. 10. მემედ ბეი აზაბაშვილი, ლეგიონერები სხვადასხვა ნაწ.; 11 ლავ. მანჯავიძე, პორ.



### სარჩევები

#### (ძველი რევულიდ: 6)

ეყანასკნელი დღეა ეს ჩემი — ავდივარ სარჩობელაზე,

• ჯალათი თავზე მადგია... ალარარს შვება შველაზე

უყანასკნელი დღეა ეს ჩემი... მშვიდობით ჩემო ქვეყანავ,

მშვიდობით სატრუოვ გულისა. მშვიდობით მშობლისა ნანავ.

მივდივარ... გტოვებთ. ტოლებო, მშვიდობით ციხე-საკანო,

ვეღარ გიხილავთ შემდეგში ცაცხალთა კუბო-აკვანო.

მშვიდობით ხალხო! რომლისთვის მარადს გული მტკოლა.

ბევრჯელ მტარვალთან ბრძოლაში. რომლისოვის სისხლი მდიოდა.

ახლა არ გემის... მოვა დრო — დალეჭავ მონის ბორკილებს,

და ნატვრით მოიხსნიებ შენთვის ცეცხლითა დევნილებს.

მშვიდობით ახალგაზრდობავ, ჩემო სიცოცხლის ტრიფიალო,

შენ-კი... სალამი სიკვდილო; უნდო, კაცო-მზარო ტიალო...

ერთაშოინდელი სამუელ (ნოე) გიგოსძე ბუაჩიძე

თერგის ლექის სახალხო კომისართა თავ მჯდომარე. მოკლ. კავკავში იგნრისის 20.

## ქადაგის არამედის

სომხეთი პუბლიცისტი და  
საზოგადო მოღვაწე

ჩვენი დროის საზოგადო  
მოღვაწე და ჭეშმარიტი მწერა-  
ლი, რომელსაც მიზნად დაუ-  
სახავს „არა მარტო ტკბილ  
ხმათათვის მღერა,“ არამედ  
თავის ერის წყლულთა კურნევა,  
საზოგადოებრივ მანკიერებათა  
დაურიდებელი ნესტრვა, წამე-  
ბის ჯვართან ერთად ჯალათის  
საიდუმლო მახვილსაც ატა-  
რებს. ჯერ კიდევ ძველის  
დროიდანვე შენიშნულია, რომ  
როდესაც გონიერობით და აზრით  
მებრძოლის წინააღმდეგ ველუ-  
რი ბრძოლას ვეღარ იტანდა,  
მარტივ საშუალებას მიმართავ-  
და ხოლმე: მუშაქი, ხანჯალს  
ტყვიას და სხ.

გვეგონა ჩვენს რწმენისა  
და სინდისის თავისუფლების  
ხანაში, ჩვენს მოქალაქობრივ  
და პოლტიკურ აღორძინების  
დროს მაინც ავცდებოდიო ასეთ  
ველურებას,— მაგრამ არა ადა-  
მიანის სახით ოურმე ჯერ კიდევ  
ბევრი მხეცი დაიარება და აი  
ამ მხეცებმა ამა 1918 წ. ივლი-  
ში ჩვენს დედა ქალაქში სიცო-  
ცხლე მოუსპეს სომეხთა მხეცო-  
ვანს, მოუსყიდველსა და სახელ-  
განთქმულ მწერალს, საზოგადო  
მოღვაწეს ამბარცუმ არაქელი-  
ანს, სომხურ გაზ. „მშაქ“-ის  
რედაქტორს, რომელიც თითქ-  
მის ნახევარი საუკ. გულწრფელად და თავგამოდებით ემ  
სახურბოდა მშრომელი ერის გამოფხიზლებას, აღორ-  
ძინებასა და წინ სკლას... დიად ხელი შეახეს სომეხთ-  
სათაყვანო მოღვაწის თვაბის წევრს რომე-  
ლიც თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს იქნება  
ზოგჯერ რაშიმე სცდებოდა, მაგრამ ბოროტად კი არა  
ხმარობდა ლოთიურ ნიტსა და ერის სამსახურისთვის მო-  
მარჯვებულ კალამს...

მასხოვს იგი 1911 თე 1912 წ., მეტების ციხიდან  
სადაც გვიჩვენ სამწერლო საქმეზე მცირე ხნით მოიყვა-  
ნეს, მასხოვს ნახარიანის სალონში, მასხოვს მისი ნა-  
წერებიც და ყველგან ყველოთის ეს ტანით დაბალი,  
გრეგორულად ტკბილი მოსუცი, დინჯად მოსაზღვო მწე-  
რლობაში მუდამ დაუნდობელი იყო პირა დ მეგობართა-  
ნაც-კი თავისი რწმენის—ერის უანგრო სამსახურის უზა-  
დო რაჩნდი... იგი ენთო: და წმიდა სანთელივით დნე-  
ბოდა მხოლოდ მისთვის, რომ ბნელში ჩაფლული, გზა  
გაუვალში მომწვედელი ბედშავი ერი თავისი მზიან-  
დღეის გულზე გაევგანა...

და ასეთ მოქალაქე-მოღვაწეს ავაზაკებმა სამის-  
ტყვით გაუგმირეს გული, რომელიც ასე ძლიერ სცემ-  
დღა იმავე ავაზაკთა საკეთილოდეოდ და გასაადაბიანე



ბლად... ჩაქრეს სანთელი და ალბად, თვითონ კვლავ  
ბნელში ნებივრობენ...

ვა და ვიში არა ძვირფას მოღვაწის არაქელია-  
ნის ხსოვნას, არამედ იმ ერს, რომლის საშოღანაც ასე-  
თი ადამიანთა მკვლელნი წარმოიშობიან ხოლმე...

მაგრამ ესეც სათქმელია: როდესაც კვეყანას წყვდი-  
ადი მოიცვას ზოგჯერ საჭირო სდება ძლიერი შეძახი-  
ლი, უცეპიციური რამ დიად მოვლენა, რო ბნელში გზად  
მიმოვალნი შემოკრებენ და სწორე გზით წავიდნენ...  
იქნება დღეს გზა დაბნეულ სომეხთათვისაც ა. არაქელი-  
ანის მკვლელობა ეს ძლიერი შეძახილი იყოს, დიადი  
ციური მოვლენა, რომელიც მათ დააფარებს და სწო-  
რე გზაზე გაიყვანს მზიან დღის შესაგებებლად... თუ ეს  
მოხდა ა. არაქელიანის ვერაგულად დაკარგვა ისე სამ-  
ძიმო აღარ იქნება და სახელი მისი მუდამ ანთებულ კა-  
ლაპრარივით გაანთვებს..

ერის დახსა უსისხლზეარაკოდ არა სდება ხოლმე  
და აჲა, ა. არაქელიანიც ერთი წმიდა ზვარაკათაგანია.  
უკვდავი იყოს ხენება მისი...

ოსეუ იმედაშვილი

# ქორწილი

გაგრძელება. იხ. 10. დაც. № 10  
სურათი მესამე

კნ. სიდონია ქვრივის კარმიდამო ქართლში. ორ სარ-  
თულიანი სახლი, მოძეველებული: სახურავ—ჩამოლპო-  
ბილი, კიბე-დარღვეული, იატაკი—ჩაშლილი. მოშო-  
რებით სასიმინდე, გომური, წყარო, ერთ კუთხეში ძვე  
ლი პატარა კელების ხავს-მოდებული გუმბათი, მის  
წინ ორ-კაპა ბოძი სამრეკლო ზარით. აივანე ხალი-  
ჩებია გადმოფენილი, სადღესასწაულო ელფერი, მზიანი  
დილა, მექორწილეთა ზემ-გართობა, ეზოში მეფანდურე  
თავკაცობს. სალამური და საჭიდაო სიმღერა, შიგა და  
შიგ ყიუინა და შეძახილი. ჯგუფ ჯგუფად სდგანან: ქა-  
რთლელნი, კახელნი, იმერელნი, მეგრელნი, სვან-აბხა-  
ზინ, თუშ-ფშავ-ხევსურნი, ინგილონი. ქალნი და კაცნი  
ყველა კუთხური სამოსით. ტიტიკო კახელი, ოთარ ქარ  
თლელი, ჭიდაობა გახურებულია.

ერთი პირი მთხომდევეთა.

ჰერი ბიჭი მარჯვეთა,  
მუღმ იყავ გამრჯეთა.

მეოთხე პირი მთხომდევეთა:

მუღმ იყავ გამრჯეთა,  
თავის გამგეთა.

ერთად. გამარჯვება თუ გინდა,  
მუღმ იყავ გულწმანდა!

მეფან. ჭირიმე თქვენი, ბიჭებო,  
ყველაში გამოწავნილებო!

(მოჭიდავების გადაშეღები).

კარგი ხანია ჭიდაობთ,  
ერთიც მეორეც წინამობო!  
ვენაცვლე თქვენსა დედასა,  
მტერი ვერ გნახათ ქვედასა!

(მოჭიდავენი ერთმანეთს გადაჭიოცნიან)

ტიტ. ჯანუმ ქართლელო, მკვიდრი ხარ,  
უეხი ვერ მოგაცვლევინა!

ქართლ. ფალევანს მხერზე ხელს დაჭრავს.

ოთარ ქარ. ბიქებრენ კახელ ფალევანს,

სწორედ რომ თავი იჩინა,  
ცოტად ფიცხია, მაგრამ კი  
შესაშურია მტრისთვინა!

ხელს დაჭრავს ქახელ ფალევანს და ხუთ მანეთიანის  
აჩუქების.

ერთხმად. ორივ კარგი ხარ, კარგები,  
შესაშურველი მტრისთვინა!

იმერელი. კახელო, სმაში გაქებნ,  
იმარჯებ თურმე ლვინითა!

ქახელი. არც თუ მაგდენად, ძმობილო,  
ჩატით ვსვამ, განა პინითა,

იმერელი. ჩატითო?—გაი მოგივა,  
მაშ სიბრძნეც დადი გექნები.

ქახელი ერთი უსწავლო კაცი ვარ,  
საღა შაქვს თქვენებრ შეგნება.

იმერელი. კახელო, გული შიგნით გაქვს,  
გეტყობა ლაპარაკზედი.—

ერთს გეტყვი გამოცანასა,  
აბა მომიგე ზეაზედა.

ხალხი შემოჯგბუფდება. უკრს უგდებენ.

ქახელი. ბრძანე და ღმერთი დიდია,  
ყოველი მასზე ჰკიდა.

იმერელი კახელო, თვისი ეკარული —  
მაბედნიერე სარისო.

ქახელი ჰმ იკვარული, შენ ბრძანებ  
ბედნიერება არისთ.

მაგაზე უკეთესაბა  
ვერ ვნახე ვერა გვარისო,  
დამძალა ერთ აბაშია

შევიქენ მონა ჯვარისო.

იმერელი აფერუშ ძმაო მიგიხვდი,  
ეგ შენი სიტყვა ბაშია:

შენ ბრძანებ ტკბილი ქართულით,  
რომ ძალა — ერთობაშია!

საერთო ხმა. ვაშა, დიდება თქვენს მშობელთ,  
შემთერით ვითა ძმა — ძმასა!..

იმერელი და ქახელი გადაეხვევიან და გადაჭიოცნი-  
ან ურთიერთს. მთისმის გურული სიმდერა ხალხი  
მიიცემირება.

ტიტიკო. აპა, გამოწდენ გურულნი,  
მოდიან ჯარით მლერითა!..

შეხეთ მათ ცხენოსნობასა,  
კაცი ვერ გაძლეს ცქერითა!..

ოთარი. ვენაცვლე თქვენსა სიმკერცხლეს  
მზის სხივებს ეთაშაუებით,  
სწორედ რომ სანუკვარი ხართ  
საჭურველით და რაშებით

ხეჭსური, მართლაც რომ კაცი-კაცათ ლირს,  
ნასროლს ვერ ნახავ გამცდარსა..

იმერელი. პოპ, პოპ, პოპ! შეხე რა სწრაფად  
თასი იართო ქანდარსა.

სამდერა გურულთა თანდათან ახლოვდება, მძღავრდება  
გურული მგზავრული ანუ მაყრული.

ოთარი. მათია თასი ოქროსი,  
რაშიც თვის პოკაზულობით.

გურული. სალამი აქა მბრძანებელთ  
შეკრებილო ძალა გულობით

გულრულთ სიმდერა რო სართულანი ცეკვით  
გურული სიმდერა მთვარე მახლავს ღამითა,

დღით მზე მიდგა თვალწინა,

იმას ვეტრფი ყოველ წამ,  
ვინაც გამომაჩინა.  
ოდელია, ღელასა,  
ჩაგრულო მიკუემთ შველასა.  
ერთი მუქა მიწა მაქვს,  
ცის ქვეშეთსა შეეხარი.  
ყველს შვება თან მომაქვს,  
ძმაო, მომეც შენც მხარი.  
ოდელია, ღელასა,  
ჭირსა მოვჭამთ ყველასა!..

საქრთო მთწონება. შთისშის თოფის ხმა თითქმის  
ზედიზედ. ხალხი გაიცქირება. ცოტა ხნის უკან  
შემოდიან აჭარელი. წინ მოუძღის გოლა ინუ.  
გოლა ინუ. მიზანში სროლა აჭარელო  
წინად მ. მენოდა ქორიდა,  
ახლა დ. ვარწმუნდი: მან ვაშლი  
ტყვიოთ გააპო ორიდა.  
შემდეგ თავის ძრას თავზედა  
კვერცხი დაადო სწორადა,  
ესროლა თოფი, ართო,  
ვით მოვლენოდეს ქორადა,—  
და ბოლოს საცერულშია  
უცრივ საზრიანადა,  
გააწუწუნა ტყვია და,—  
სიათა ფარიანათა  
ჯილდით მიგაროვით სახსოვრად,  
იხმაროს სარფიანადა.

ოთარ. ქარ. გენაცვლეთ აჭარელებო,  
სისხლით და მოდგმით ჩვენებო,  
მუდამ უამს საყვარწლებო,  
გმირობით გამომჩვენებო,  
გიქებენ ომს და ცეკვასა,  
სიმღერას ჩვენებურადა,  
აბა, თამაშეც გვრჩვენეთ  
თქვენებურ ძველებურადა.

აჭარელი. პირველად ვმადლობ უფალსა,  
ყოვლის გამჩნს და წამყვანსა,  
ხანდისხან ძმათა გამთიშველს  
და ბოლოს ერთად მომყვანსა.  
ეს თქვენი ზემო-ქორწილი  
ჩვენთვისაც სიხარულია.

ვინც, ძმაო, თქვენ მკერდს მოცილდეს  
იყოს ღვთო საგან კრულია!  
აბა, ბიქებო, დავიწყოთ  
ჩვენებურ აჭარულადა  
გურულო, მოგვყე ფერეულ ში,  
ზნით ხრო ერთი სრულადა ..

ცხმება ხორუმი

აჭარელ გურ. აბა, ჰედა ერთადა,  
ნურვენ გვინდა ღმერთადა.  
აბა, ჰე-და ერთადა,

ჩვენ თავს ვალუებ მუცეურებულება  
აბა, ჰედა ერთადა,  
არების ვყავდეთ მტერადა.  
აბა, ჰედა ერთადა,  
ნურვენ ჩაგოვლის შტერადა,  
აბა, ჰედა ერთადა,  
ჩვენი გვსურის ჩვენადა...

საერთო მოწონება გაშა-ტაში  
ოთარ. აბა, ვინძლო, ქართლელებო,  
და ოქვენც ძმანო ქხელებო,  
არც ამაში შემარცვნოთ,  
მაყრიონი მოვ ლხანოთ.

ქართლ-გახელთა ფერხელი  
ქართლელ. ბიქო, გული მტკენია.  
გახელი. მითც ნუ მოგიწყენია.  
ქართლელ. ბიქო, ბევრი ვეწამე,  
არ მწყალობს ზენა მე!  
ქახელი. წავა ტანჯვის დღენია,—  
მომავალი ჩვენია.

ფერხელი თანდა-თან ხერდება  
ქართლ-გახელი. ჰალალალე, ვალალე,  
სიცოცხლე მე, მაცალე.  
ჰალალალე, ვალალე,  
გოგოვ რისოვის გამცვალე.  
ჰალალალე, ვალალე,  
მნახე ხოლო მალმალე.  
ჩვენი ქვეყნის მზე მოვარე,  
იყოს ჩვენი მომხმარე.  
ტკბილ სამშობლოს ეს არე  
იყოს ჩვენი სამარე,  
ჰალალალე, ვალალე,  
მტერო ნუ გვაცალცალე,  
სიყვარულის უფალო  
ერთმანეთს დაგვანაცვლე.

საერთო მოწონება გაშა-ტაში.  
ოთარი. გენაცვლეთ თუშ-ფშავ-ხევსუცნო  
საქართველოის ლომ-გურინო,  
კიდევ გვსურის თქვენი გმირობა,  
ბრძოლაში გამოცდილობა.

თუშ-ფშავ-ხევსუცნი გნეწლაბენ ხმლებით. შესაფა  
რი მუსიკა საერთო მოწონება.

რიტიკ. ჯრი თქვეჩება რაჭველნო,  
ლეჩხუმელ-აფხაზ-მეგრელნო,  
რაჭველი. ჭი, გეთაცვანე აქა ვარო,  
ყველგან ყოველთვის მზათა ვარო.  
აბა, ბიქებო; ფერეული,  
აზავინ გვნახოს ფერეტელი.  
ქალებო თქვენც ჩაებით  
ცეკვაში მარჯვეთ, სიმღერით.  
იოსებ იმედაშვ-ლი  
გაგრძელება იქნება

# ხელოვნება რელიგიაში

დამასანმა რელიგიას მაშინ მიქმართა, ოცნე  
სააქი, ქვეყნიურმა, ხორციელმა იგი შერ დაკმა-  
უთველა, ოცნე ს-ცოცხლის აზრი გერ ჭირება აქ  
და სასოფარ გვეთავებას მიეცა. ამ დროს მან ზე-  
ცისაკენ იწუთ ცხერა, მთინდომა დიდი საიდუმლო-  
ების ეფუძნა. არ ერთხმის მდგრადისათვის ფა-  
რდა აქადა ამისათვის ს-ჭირო იყო გასკვლია გზა  
ცისკენ, ქვეყნა მიეტოვებდა ერთი სიტევით მარ-  
ნდომა ადამიანმა ცა ქვეყნას შეა გზა და ხ-დის  
გადება. შესძლება კი ის ორგორმე დაახლოებდა  
ზეცას? აქ მაშინ დაპირდაპირდებ თრი რამ. მატე  
რია და სულა. დამასანი თან და თან ქვეყნის ზე-  
დაპირს მოშორდა, ავიდა ზეფათ, გონებით ამაღ-  
ლა ზეცისაკენ. მასალად ცა და ქვეყნის დასაკავში-  
რებლად ურთიერთ შორის, ხევათა შორის, ადამი-  
ანმა გამოიგონა ხელოვნება. ხელოვნებაში უნდა გა-  
მოსახოს სინამდგილე; იგი უნდა ემსახურებოდეს  
და ქვეყნების მიერგოდეს ამ სინამდგილეს. არჩილ ჭო-  
რჯაძე ხელოვნებას ასე განმარტავს: „ხელოვნება  
მართლაც დაპირების სინამდგილეს, ხოლო მის შიგი  
დასხელდი სინამდგილე არასოდეს არ არის ფოტო-  
გრაფიული ასლი (ხაზი ჩეკია) რეალურ სინამდგი-  
ლის. ხელოვნება არასოდეს არ არის მარტოდ ის,  
რაც არის სინამდგილე, არამედ ზედმეტი რამ, რაც  
სინამდგილეში არ არის!“

ღ. 6. ტოლსტიო ამბობს: „ხელოვნებას აზ-  
რად ჭირდა გამოეწევა ადამიანში დვთისა და გაცის  
დამოგიდულების ასხა. ხელოვნება, განსაკუთრებით  
დრამატული ხელოვნება, რომელიც თავისათვის მო-  
ითხოვდა დიდ სამზადისს, ხ-ჯას, დგაწლს, უოგე  
ლოვის რელიგიზმური იყო“.

რელიგიოზურმა ხელოვნებამ თავი იხინა ებრა-  
ების გარეწყველ დვთის მსახურების. ოცნე ებ-  
რაების დიდი ხნის ძებნის შემდეგ დაინახეს  
დმირთი სიხას შთაზე გეგიპტიან გამოსტელის შემ-  
დებ მეორმლცდა ათე დღეზე ელგა-ჭექა-ქეხილში,  
დმირთმა მოხეს გადასცა ამ მთაზე თრი ქვას ფარა-  
ო, ორმეტედაც დაწერდი იყო ათი ძენება.

ცა და ქვეყნის დაახლოებისთვის საჭირო  
შეიქნა ქველტის შექნა; ტაძარი, მათი მსახური და  
დვთის მსახურება. ტაძარი შირველ სანებში მოძრა-  
ვი, გაიუთვებდა ასმ ნაწილად: ეზო, წმიდა

თა და წმიდა წმიდათა. ეზოში ეპრაელი ღიგე  
რალოცაგად, წმიდათაში მდგდლები დოცულობდენ  
და წმიდა წმიდათაში იდგა სჯელის კ-დაბინი. რამ  
დებიმე ხნის ბეჭდებ შეუკე სოლომონი აგებებს დი-  
დებულს უძრავ ტაძარს შესანიშნავ სიმძიდით და  
ხუროთ მოძღვრებით. დვთის მსახურების დღმას უ-  
ლებელნი პირნი: ლევიტელი, მდგდელი და  
მდგდელმთავრი, რომელიც განირჩებინ ერთმა-  
ნეთისგან შესამასლით და მოვალეობით მაგ. მსხვე-  
რილის შეწილვა. შეოსნება მეცე დაფითმა შეაღინ-  
ისალმუნთა კუნძული, საგალობლებში, რომელებ-  
საც გადადებენ წინწიაზე, ეპ.ნ.ხე, ბობლანზე და  
სხვა და საგა სამუსიქო იარაჟებზე

გადავიდეთ ახლა ქრისტიანობაში. ქრისტია-  
ნობაშიც ხელოვნება იყო დვთის მსახურების ტაძრე-  
ბში. ხანდისხან სრულდებოდა საიდუმლოება და  
ხელოვნებრივ ლატურგია — წირვა. შემდეგში, ოცნე  
ამ დვთისმსახურების ხელოვნების ფორმები  
არ კრირდა, გაჩდენ მისტერიები 13 და 14 საუ-  
ნებში მისტერიებს სცენის ასალა-სალი ფორმები, -  
მორალურ ღრამატიული წარმოდგენანი, ალეგორია.  
ცნობილია, მაგალითად, რომ დღესაც ერთ ერთ  
სახემწიფოს სოფელში განსაკუთრებულ დროს გა-  
რედ, ცის ქვეშ წარმოდგენების ხლომე ღრამას იე-  
სოს ცხოვრებიდან და მომქმედი პირნი არიან: ქრისტე, ქალწერე მარიამ, იუდა და სხვები. ამ  
წარმოდგენაზე აურებელი ხაჭა უსწრება ხლომე.

ხელოვნების დარგია სახოგადოთ თხის: პო-  
ეზია, მხატვრთა, პლასტიკა და მუსახა. დვთის  
მსახურებაში მკაფიოდ არის ეს თხისევე დარგი:  
ერთია ს-დვთო წიგნებში, მხატვრთა — დვთის.  
ქრისტესი, მარიამის სხვა და სხვა წარდათა ნახა-  
ტები, პლასტიკა — ტაძრები, მათი ხერთმოძლ-  
ებების, განსაკუთრებით ქართული თვისის ხელოვნე-  
ბით, წნევით — ჩუქურმებით, ფრესკებით, რონაშენ-  
ტებით და უკედაზე უფრო, რომელზედაც მიგაქციო  
მკითხველის ეურადები, თვალსაჩინა მუს-კა.

ეკველ ერებზე უფრო განვითარებულია ქ-რ-  
ოგებებში ხელოვნების ეს დარგი მუსიკა. ჭერ-  
ილები 10-12 საუკუნებში მიქელ მოდრებილები სას-  
წაულებს ახდენდებ თვისის გადაბით და აოცა  
საკუთარის გზით იწევ სიარული ჩენება ეკლესიაში,  
მას შემდეგ ხომ პროგრესიულათ გითარდეს მუ-  
სიკა. ქართველ ერთ ჭირსა და ჭირში, შიგნით  
და გარეო, გზაში და ტევებაში უკედაზე, უკედ-

თვის სხვა და სხვა, შესაფერისი სიმღერა-გალობა ჰქონდა.

ა იგივე ჭორვაძე რას ამბობს ქართულ მუ-  
სიკზე: „ქართული მუსიკა განსაკუთრებით ჰსახავს  
სიცოცხლის ირაფიონულ სახეს. ბერ დაბა და დი-  
სონანები არღვევს კონკრეტულ ფორმის ინდივი-  
დულობს, საზღვაო დაუდუღებელ სამუწოდებელ  
გაზიდავენ. ხელო გალობის ბოლოში ხმის მაღლა  
აუგანით და გალობის უცნაურად, მოუღოდნება: დ  
უნისონით დაბოლოვებით მუსიკური აზრი თითქმის  
სასოწარკვეთილებას კამთხვევაში შეუგნებელ საზო  
გადაების წინაშე“. მუსიკა გაძერობს და უფრო  
გასაგება ხდება სახარების ას ადგილი, სადაც შთა  
ხრობილია სულის ტანხვა და მწესარება (ითან.  
15, 16 17), „რამეთუ არა სოფელისაგანნი ხართ  
ოქენე, არამედ მე გამოგირჩინ თქვენ სოფელისაგან,  
ამისათვის სტულთ თქვენ სოფელსა“. ა ი ეს წინად  
მდეგობა ხროცისა და სულისა მწესარებით აშებს  
ადამიანის გულს.

საქართველოს ეკლესიასთან უფრო დაგავშირე  
ბულა თრი დარგი სელოგნებისა, მუსიკა და ხუროთ  
მოძღვრება. საჭიროა ამისათვის. ი. უ გვინდა ეკლე  
სია ეკლესიობდეს და, აკავის არ იყოს, ზარები  
უხმობდეს ესტ: „მოდით მოდით და არა წადით“,  
როგორც აქამიდინ იყო, — საეკლესიო გულტის გაშ  
შეეტანა, საეკლესიო გალობა განვითარება და ძეგლი  
ტაძრების აღდენა-განხსნება.

ეს ჩვენი პატარა სუსტი წერილი გამოწევეუ-  
ლია იმ ღრმა შთა ექვდილებით, რომელიც ჩვენზე  
მოახდინა (და მგონი არ შევცდე) ითვ სხვების მაგივ  
რადაც ვიტევი) 7 კვირივიბისთვეს სიონის ტაძრ  
ში სრულიად საქართველოს შა კრისტეს უწმიდესი  
და უნეტარესა კირ თხ მეორის დაკრძალვის დღეს  
კოშჩიოლია 6. სულხანშევლის კუნდის განგე  
იმ დღისათვის შედგენილის „სულთა თანას“ გა-  
ლობაში. ეს გალობა თქვენ ამ ბინძურ ბოროტ ქვე  
უანას გაძუდებდათ და შორს კამაბა ცის კამარაში  
გაწოდებთ, სადაც არაა „არც ჭირი, არც მწესა-  
რება, არამედ სიხარული იგი დაუსრულებელი“. ~

უფერესობები დარგი სელოგნებისა ჯერ ან გადა-  
უთვალ იერებელი გაუფურჩენელია, ან ახდა იწყებს  
ფეხის ადგმას, წელში გამაგრებას. ასეა სიმღერა-  
გალობაც. უნდა გადაღებულ იქნეს ნოტებზე და  
ჩაწერილი ძეგლი სიმღერა და საეკლესიო გალობა  
უფროს. ეკლესის ერთ გაურბის, დრო ჩვენი კუ-

ლესის სათავეში მეოთხე მიაქციონ აშენებულ და ეს კი მაშინ მოხდება, თუ მუსიკას ის ადგა  
ლი გავაგება ჩვენ ეპლესიში, როგორიც ჰქონდა მას-  
წინედ, ასა და ისეთ პირობებში ჩადგება, როგორშიაც  
სასურველაა იყოს.

კ. გელი

### პროცესის მოღვაწეობა



### სცენის ნოუზ რე ვანო კაკაბაძე

ვანო კაკაბაძე ითვლება ერთ საუკეთესო სცენის  
მოყვარეობაგან ოლაგში. იგი პირველად საენაზე გამო-  
ვიდა ამ ოცდა ათი წლის წინეთ და მას აქეთ  
ერთგულად და დაუზარელად ემსახურება სამშობლო  
სცენის აცვავებას,

იმვიათი წარმოდგენა იქნება, ვ. კაკაბაძემ მონა-  
წილება არ მიიღოს და ძრიელ ხშირად უმთავრეს  
როლების ასრულებაც უხდება. სხვათა შორის ემარება  
ხოლმე თბილისიდამ ჩამოსულ ქართ. დრამატიულ და-  
სის მასიობთ სარმოდგენების გამართვაში, მაგრამ უმ-  
თავრესი მისი მონაწილეობის მიღება გამოიხატება სა-  
ქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენებში.

საზოგადოდ პროვინციაში და კერძოთ თელავში  
თუ იმართება სარმოდგენები, უფრო საქველმოქმედო  
მიზნით, რომლის მეოხებით არსებობენ და განაგრძო-  
ბენ ნაყოფიერ მოღაწეობას აქაური საზოგადო და საქ-  
ველმოქმედო საზოგადოებანი და სწორედ აქ, რამდენა-  
თაც-კი შეუძლიან ემარება ამს. კაკაბაძე სცენაზე მო-  
ნაწილეობის მიღებით.

ამისათვის თელავის სცენის მოყვარეთ მსახიობ  
ქ. ბერანიშვილის, დ. აშურელის პ. კორიშელის ბ,  
ახოსპირელის და რუსპირელოს მონაწილეობით 8 ივლ.  
გაუმართეს საიუბილეო წარმოდგენა, რომელზედაც  
ხალხი დაესწრო,

წარმოადგინეს „, და-ძმა“ გაიოზის როლს თვით  
კაკაბაძე ასრულებდა.

იუბილარს, სხვათა შორის, მიულოცებს ქალაქის  
და სომხის საზოგადოების წარმომადგენლებმა მიართვეს  
საჩუქრები.

დაგიშებული

მარიამ მაგდელინელი

მას უყვარდა სიყმაწვილით სახე ახალგაზრდობა. მთრთოლებარე გულით, ვნების ზღვა სისხლით, ალის-ფერ ტუქებით, მზეებრ მოყვარე სასონით და ყველა ასეთებით ლროლვილი სიყვარულისადმი ახალგაზდებში ის არჩევდა სქესობრივის მხრივ დაუღალავ გმირს, ტრფიალების ცეკცლით ანთებულ ვაჟს, უყვარდა ასე-თები და მათთან დარჩენის დროს მთელი არსებობით. გრძნობა-გონებით თავდავიწყებამდინ ინთებოდა ვნების სურვილით გაბრუებული მოსიყვარულეს მოზიდულ მელავებში, იმას უყვარდა.

ისიც უყვარდათ, მაგრამ იგი მაინც ვერ სძლებოდა სიყვარულით. მისი სხეული, როგორც სანათი, ცეცხლს თხოულობდა. იგი სულ მზად იყო სიყვარულისთვის: სულ ენთო, ჰლუოდა, ალ-მური ასდიოდა, იწვებოდა, იფერ-ფლებოდა და არ იწვებოდა, მისი გული სულ დელავდა, თრთოდა, ცახცახებდა, ვნების სურვილით დუღდა გადადუღდა. მისი ბაგენი სულ ამბორს თხოულობდენ, ხვევნას, ლეთიურ ალერს, ვნების სიმთვრალეს, შუთით დავიწყებას და განსვენების შემდეგ რომ გაიღოიძებდა, კვლავ ცეცხლი ედებოდა, სურ ვილი უახლოდებოდა, სიყირულს, ალერს, ხვევნა-კოცნას თხოულობდა. იგი ლამაზი იყო. ნაზი, ნარჩარი, ტკბილ მოსაუბრე, ენა წყლიანი- ის ჰგავდა ცის ფერის მზის სხივებში მცურავს.

ვინ არ იცნობდა მას ურისატანში ყელა. იქრუ სალამის მაშინდელი ღიდგაცობა: მდიდარნი, ცხოვრებით გალადებულნი, ბეჭნიერნი; მაგრამ იმას სიმდიდრესთან ხომ არა ჰქონდა საქმე?..

იმ დროს იქტესლიმში რომაელების მთავრობა  
მეფობდა. ებრაელებს სძულდათ უცხონი, ურჯუ-  
ლონი; როგორც ისინი ოწოდებდნენ მათ და საერთო  
მათთან არა უნდოდათ რა, მაგრამ მაგდალინელისათვის  
სულ ერთი იყო: კმანწვილი ასირიელი იქნებოდა, ბაბი-  
ლონელი, ეგვიპტელი თუ რომაელი, ოლონდ შესძლე-  
ბოდა სიყვარული.

და მიუხედავად უცხოთა მძღლვარებისა, ერთ სალამოს ის შეხედა რომაელ ასისთავ რუფს. მოიწონა ის, გაეცნო და გაჰყევა. იმათ ისეირნეს დაბინდებამდინ. რომ დაღამდა, ხელი-ხელ ჩაკიდებული დაიძრენ და აღმოსალეთის ნათელ მთვარის სხივებით მოაქრევ გეტაიმანიის ბალის ხეივანში შესრიალდენ, ჯადოსნურ ძლუმარებით გარემოცულ შტო-ფოთოლებში მიეფარენ, და ერთ ალაგს ბალის სიღრმეში ახლო მოჩუხჩუებ შადრევნის გვერდით მარმარილოს ქვის საჯდომშე ჩამოს სდენ. უშერეტ სიყვარულის მეუფე მაგდალინელმა, სანაც რუფი მას მიიზიდავდა, გაუშალა ჰაეროეანი გულ-მკერდი, გაუხსნა სავანე სიყვარულისა, ჩაიკრა გულში გაშენია ათროთლებულ გულის კოკრებში. ვნების ცეცხლით გაალმურებული ბაგნი მიაწება ვნებითვე აღელ ვებულ ქმაწვილს, ვნება-აშლილს და თავგბრუ დამხვევ ტრატიალების დასასრულ ლვითიშრ უტკებს გრძნობით, მიითვლიმეს... წუთი და გაიდვიძეს. კვლავ სიცოცხლე დაუბრუნდათ. და დამეტული სხეული რომ აამოძრავს, იგრე იგრძენეს თანი თვისინი, თითქო ღმერთების სასუფლოდანდარუნებულანო. მაგდალინელის ეთერო

ვან შუბლს, რომელსაც ა შვერებდა თმის კულულები, ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ვნებით წარმომსკარი ოფლის ცვარ-ნამი და სასიყვარულო მთვარის სხივები ისე გარჩევით ა შუქნარებდა თვეოულ ბარცვალს, თითქო საზღაპრო ებრაელის ქალს საამურამ ღამეშ საოცნებო გვირგვინი უძღვნაო. უცხოელი განცვიტრდა მისი ეჭხით. სიგირემდე მივიდა მასთან დარჩენით, წაჟინებული ამბორით მიიწვინა გულზე მაგდალინელი და მიჯნურის ალექსით ჰქითხა:

— მითხარი, მშენელო ასულო. ვინა ხარ, ცისა  
თვი მიწის?

მაგდალინელს ამ დროს კვლავ სურვილი გაეციდა, ამურისხებულ შებლზედ ეთეროვანი ხელი გადის; ვა და ის იყო უნდა გადახვეოდა რომაელს, რაღაც წინაგრძნობით შედგა, მხარეული სიცილი აუგარდა, დაუდო თავი რუფს მუხლებზე, მიაჰყორ თვალებიას სახეში და დაიწყო:

—მე მზის ასულს მიწოდებენ, მთვარის ქალიშვილს. ჩემი დედამამა მზე და მთვარეა, მოციმიციმე-მოკამაძე კარსკვლავთა კრება ყველა, ჩემი ძმებია. ლიბანის მთების ნიავ-ქარი ჩემი სუნთქვაა. იორდანის ნაზი ჩერიალი გემი ენაა. ჩემი ძილი ღამეა, გამოხელვა ღლე, ჩემის ღიმილით მზეს სხვებს ვუკრგავ, მთვარეს ვაზნელებ. ტრანსპორტის სულის წაბერით გავაქრობ ცაზე ვარსკვლავებს, ულ არ დავტოვებ არსად ერთ მნათობს. იერუსალიმის ახალგაზრდობა ჩემი მონებია არიან. მე მათი ლერი იო. მე მარიამ მაგდალინელმა ვსძლიო კაცები, ვისაც ერთნობა აქეს სიყვარულისა. სადაც ცხოველია მზე, იქ ლიონერია სიყვარული. მე ვარ დილის ცვარ-ნაში, იერი იქნის ყვავილთაგან ნადნი, არშიყ ნიავისაგან გადონადნი. მე ბეთლემის ღვინოზე მათობდელი ვარ, ცოლვას სასმელზე უტკეხსი. ვინ არ შეიყარებს ბრაელის ქალს, ეს დიდებაა საისრაელოსი, ეს ცისკა იია აღმოსავლეთის, სიცოცხლეა, მშვენიერება, ხმა-კიბილი ებრაელის ქალისა, როგორც იადონის კვნესა-კარაკი ქორფა ვარდის ყლორტზე. გეთსამანის ბალის ილრმეში იგრე ლამაზათ ისმოდა. მაგდალინელის ჯა-ოსნურ ხმაში მთელი მსოფლიოს სიმღერა გამოიხ-ებოდა: სიმღერა, სინათლე, ჰარმონია. პოვზია მშვე-ორი სიყვარული.

ჯერ არ გაეთავებინა მას ლაპარაკი, რომ შეჩერდა  
აა. მან იგრძნობ ბაღში რაღაც შრიილი. რუფი ამას  
ერ აწევდა. მოხვია ხელი მაგდალინელს გულზე მისა-  
რავათ, კვლავ რომ დაეტყო ქება-სურვილით აღტ-  
ინებული სხეული მასთან შეხებით. მაგრამ მარიამ მა-  
დალინელმა ხელის გაქნევით რუფი უარჸყო, ოცნების  
ვეტივით აიშალა. ზეზე წამოდგა და ყურიამ ჭროს  
თვარე გოლგოთას ამოეთარა-ბაღი ნათლიდან მიიჩრდი-  
ა, მაგრამ ქალმა გეთსიმანის ბაღის ხევანგში აღმა-  
რყებითის მხრივ სულ სხვა სინათლე იხილა. ხე-ფიორთ  
შრიალში შეიდფეროანი ნათელმა გაიღლვა. ნათე-  
რში ღვთაებრივი, ზეკაცის სახეშ გამოაშექა რგი იყო  
თნოვგბით აღსახეს ათ-ორმეტთა თანახლებით. გამოა-  
უქა, გამოჩნდა და ოცნებასავით მიიჩრდილა. საიდუ-  
ოო ერებული საიძუმლოდ გარიცილა ბაღიდან.

— „ნუ თუ ნახარეველიო, — არგლო გულში ცო-  
ილმა, დაუტევა რუფი, პირველად და უკანასკნელად  
აპარატი სარტყელი სიტყბო, სიბილწე, ნაყოფგანება, სი-  
ული, სიმრტეშე და ზმანებისამებრ ტკბილ ჩევნებას

გაჰყვა კვალდაკვალ შორიახლო, როცა ჰქოვა სინათლე. კავნი დაიშალა. ცრემლთა ფრქვევით, ღაწვთა ხოკვით დაეცა მის ფერხთა ქვეშ მდუღარე ცრემლებით დაპბანა ფეხები მშვენიერ იესოს. და შეუმშრალა იგი დაშლილ კავთა სუბუქ ტევრით, ეპატია მას ცოდნანი თვისინი. შეიყვარა საყვარელი მასწავლებელი. და იყო ერთგული მისი ვიდრე გოლგოთამდე.

### ევგენი ფურცხვანიძე.

#### საქართველოს გეორგიელების მემკენვი (1832 წ. , ფარული საზოგადოება“)

[შემოკლებით გამოწერილი ჩემის ვრცელის ხელნაწერ.]

, ფარულ საზოგადოება“ - ს აქეს მეტად საინტერესა ისტორია. საყურადღებოა იგი ჩვენთვის ბევრი მხრით. ამიორმ საჭიროა ვიცოდეთ ის გარემოება და პირობებიც ის დიადი და მასთან მეტად ძნელი. საჭმერამ წარმოშობა ქართველებში; რა გახდა ამის მიზანი რომ ქართველებმა ასეთი საქის განწრახვა და შესრულება გაბედეს. როცა ეს გვეცოდინება მაშინ „ფარული საზოგადოების“ მოღვაწეთა პირებს უფრო უკეთ დავაფასებთ იმ „ფარულ საზოგადოებისა. რომლის წევრნიც მოღვაწეობენ საქართველოს განთავისუფლებისათვის. ამიტომ მოგვყავს ამის მიზეზები აქ სულ მოკლედ და მარტივად.

საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა 1783 წ. ამისთვის ორსავ სახემწიფისაგან ტრაქტატიც დაიწერა, რუსებმა ქართველებს კარგი პირობა მისცეს, მაგრამ პირობის მიცემის შემდეგ, რუსებმა პირობა მალე დარღვეის და ამით ქართველი დარჩენ მოტყუებულინი. ასეთი მოტყუელება რუსებმა ქართველებს არც შემდეგ აქმარეს: ამათ ისურვეს ქართველი ერის და საქართველოს სრულიად დამარხვა, ქართველი ერის ხელში ჩაგდება. 1801 წ. ესეც მოას ახეს. ამ დროსაც რუსები ქართველებს პპირდებოდნენ ბევრ სიკეთეს, მაგრამ ახლაც ქართველი მოტყუებული დარჩენ რუსთავან.

ამ მოტყუელებისთვის რუსეთის მთავრობა ძლიერ კარგათ მოექმადა. ამისათვის მან ქართველთაგან შინად გამცემნი და მოღალატენიც იშოვა, რომელნიც ასწავლიდენ რუსებს ყველა ასტატობას, თუ ქართველი საიდამ როგორ უფრო ადვილად მოტყუებოდენ. ასეთი იყო გარსევან ჭავჭავაძე. უმაისობა რუსთავან არც შეიძლება, რადგანაც, რავდენაც ქართველთ შორის შეერთების მომზრე და მონატრული იყვნენ, მოწინააღმდეგენიც, რომელნიც რუსთა ერთობას დიდათ ეკრძალებოდენ. ასეთი იყო სოლომონ ლეონიძე. მოღალატეების რიცხვიც დიდი იყო და უმეტესათ კი რუსთავან შესყიდული ჩინებით, ფულით და შიშით. მასთან სოლომონ ლეონიძის მომხრეთა რიცხვიც არ იყო მცირე. მაინც ბაროტმა სძლია კეთილს, ბოროტმა გაიტანა თავისი ალო და საქართველო ჩაუარდა რუსთა ხელში მონად ისეთ დროს, როცა დამონებულიც-კიუნდა განთავისუფლებულიყო.

ეს დრო და ხანა არის მე-19-საუკ. დამდეგი როცა ევროპაში დამონებულებს ანთავისუფლებდენ. ამ მონებასაც ჰყავანდა ქართველთაგან წინად მგრძნობელნი და მყველებელნი, მაგრამ გამგონი აღარავინ იყო. ასეთ მგრძნობიერ პირთაგანად ითვლება იმ დროის თბილისის კათოლიკეთა პატრი ნიკოლა ჯერედ რუსებს საქართველო ხელში ჩაგდებული არ ჰქონდათ, რომ ერთ დროს საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. ამათ მეფე გიორგისთვის დახმარება უნდა მიეცათ „ნიახურის ომისთვის“.

ამ რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის დროს, საბურთალოზე მეფე გიორგი მიეგება მთელი თავის მოწინავე კაცებით. ამათშივე იყო პატრი ნიკოლა. რუსის ჯარმა მეფე გიორგის დანახვის დროს, ჯერეთ ბარაბანი დჰჰრი და მერე მუსიკა დაუკრა. მეფე გამხიარულდა და ფრანგის პატრი მიმართა ასეთი სიტყვით:

— პატრი, იმედია, დღეის შემდეგ, რუსის ჯარის დახმარებით, ჩვენ მტრები ვეღარას გვიზამენ. პატრიმა მოისმინა მეფის სიტყვა და მწუხარებით მიუგო:

— ბატონო მეფეო, ბარაბანი დაჰჰრის, საქართველო იმარხება. ნუ იზამთ თორემ მერე სანაული გაგი ხდებათ, რუსი შემოვლენ მამაშვილურად და მერე გადიქცევიან მამრნაცვლად. თქვენს ხალხს დაადებენ დიდ ხარჯს, ხალხი ამის ვადახდას ვერ შესძლებს და მერე ამ გადასახადისათვის მათი მამულები გაისყიდება ბარაბანის დაკვრით. ქართველი ერის ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ მათ მქედრებისაც მუსიკით დაუწებენ დამარხვას.

პატრის ასეთმა სიტყვამ მეფე გიორგი დიდათ შეაწუხა. მერე მეფემ პასუხი მისცა პატრს:

— პატრი, რა ვქნათ, რომ სხვა გზა არა გვაქვს. მეტი საშეველი არ არის; ეს საქმე უნდა შესრულდეს, — საქართველო რუსეთს უნდა შეუერთო.

ამ საუბრის თრი წლის შემდეგ ეს საქმეც მოხდა 1801 წ. საქართველო რუსეთს ჩაუვარდა ხელში მონად.

ამ ჩაბარებისათვის ლოცულობდენ სომხის ვაჭრები, მოქალაქენი და ბევრიც სხვანი. ყველას უხარიდა, ყველა კანონად სთვლიდა რუსთა შემოსვლას საქართველოში, მაგრამ ბოლოს საქმე სხვანაირად დატრიალდა, ორი წელიწადი მართლაც რუსები ქართველებს ცოტა კეთილად ეცყრობოდენ, ცხოვრებას არ უჭირებდენ, მაგრამ ეს მალე მოსცეს. შესრულდა პატრის სიტყვა, — რუსთა მამაშვილობა მამისნაცელობად გადაიქცა და რუსეთი ქართველი ერის შემაწუხებლად და მდევნელათ შეიქმნა.

#### 4. პიჭინაძე

გაგრძელება იქნება





საქართველოს რესპუბლიკის შტატის სტამბა, რომელიც წინად იწოდებოდა კავკასიის შტატის სამხედრო სტამბად, დარსებულია 1809 წ. თამაში შეიძლება ითქვა, რომ საქართველოში (ამიერ კავკასიაში) არსებულ სტამბათა უროსის ეს სტამბა ყველაზე უძინესია, ყოველგვარი მასალა-იარალით: ელექტრო-სკემფავეგბით, ასოთი, თვითმ ბეჭდავ-მკეცავ—დამჭალით, საკაზმავით და სხ. შესდგება ათი დიღი დარბაზისაგან. აქვე მოთავსებებული ასოს ჩამოსასხმელი ქარხანა, მუზაზა მოსაცვენებელი, სამკითხეველო, წიგნთ სავაჭრო, ორი საელექტრონო ძალის მანქანა და სხ. უკანასკნელ წელში ერთი ჯურის ხალხი თითქოს მას ცდილობდა ეს სტამბა გაეჩანაგებინა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის შტატმა დროით მიაქცია ყურადღება ამა წლის იგნორის 17-დან ამ სტამბის გამევე დანიშნან კაპიტანი აღეცია იგანეს მე დათა შეწრილი, რომელიც ბეჭირიათ შეუტრდა შენდობილი საქმის გაძღლილს სტამბის მარწმუნებელს და გაეროვნულებას. ამ გარემოებამ წაკლები უსიამოვნება არ შეამოხვავა დათა შევის, შეგრამ იგი მტკიცებ მის დევს თავისი გარდა წყვეტილების შესრულებას საერთო საქმის საკეთილ დღეოდ. იგი უკეთ შეუტრდა გაეროვნულების საქმეს: ძევლი—ასოს გადანდობას და ჭარითული ასოს ჩამოსახმას, მოხელეთა შეჩერებას, განკარგ ქრისტენების და განკარგ ას. განკარგ ას. სტამბაში ამჟამან არი. რიგი მუშაობი: სამხედრო გალდებული (რომელთაც აუგველ გვარ ხარჯის გარდა მიეცემათ მოეცების წილი) და თვითსუფალი დაქირავებული. ეს სტამბა საქართველოს ჯარის საქმეს დიღს სამსახურს გაუწევს; ღალინდ—საჭიროა გამგეს მხარი მიეცეს; რომელმაც სტამბის გაერთ გულებისა გამო ზოგითო შემაყოფილობინი გზილებს უკრაფუნებენ ამ სტამბაზე საზოგადოდ და კერძოდ მის გამგეზე დიღდ იქიმიშები მიქეონდათ სხვა და სხვა კავშირთა სახელით,—მიზანი რსიყია, რომ სტამბის საქმე და-დღუპნათ, მაგრამ ყოველივე იერიში მოგერებულ იქმნა და სტამბის საქმე წესიერ კალაპოტში სდგება.—საჭიროა საქართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქე-მუშამ და ჯარისკაცმა-ამწყობმა სახელმწიფო გენივის თვალსაზრივით შეხედოს ამ სტამბას და გაუფრთხილდეს, რა-დგან იგი საერთო კუთხით ილება.

“ შურნალი”, თე ტრი და ცხოვრება “ თქვენის  
ზნეობრივი თანგრძნობით სკოცხლობს, თქვენის ნივთიე-  
რის დამარებით (შემოწირულებით) სურათე იმ შემკუ-  
ლი კარგს ქაღალდზე: ვასაც გსურთ შურნალმა პირნა-  
თლად შეასრულოს თავისი ვალი, დაეხმარებით. საღა-  
მოსა ანუ წარმოდგენის გამართვით, შემოწირულების  
მოკრაბით. შემოწირულება მითიღება არდაქციაში(თბი-  
ლისი, ბაზზ ის ქუჩაზე, ალექსანდრეს, ბაღის პ. რდაპირ,  
არჯევანიძის სახ. № 20)

ପିଲ୍ଲ ଶୁଣନ୍ତା । “ତେବେଳୀ ପ୍ରସାଦରେବା” ଏକ ଜୀବନଦିଲ  
ସାମାନ୍ୟରେ ଦେଖନ୍ତୁ ମିଳିଲୁ ଅଛି । କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
1, ରୂପିନ୍ଦି ଗଢ଼ିଲେ ମହାମହିମାକୁଣ୍ଡରେତରଙ୍ଗରୁ । ଏହି 100 ଗ.  
2, ଯାହାର ଚାନ୍ଦିରୁ ବାଜାରରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା ।  
3, ଲାଲରୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା ।  
4, କୁଳାଳି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା ।  
5, ଏହାର କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା ।  
ଏହିବେଳେ କିମ୍ବା କିମ୍ବା ।

ନୀଳା ପ୍ରାଦୀ ପ୍ରାଦୀ କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 10 ମାର୍ଗ
ଗାସିନ ବ୍ୟାବ୍ସଥା କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 5 ମାର୍ଗ
ଶେଖରନ କୁଣ୍ଡି ପ୍ରାଦୀ କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 5 ମାର୍ଗ
ମଲ୍ଲାଙ୍ଗ ତାଲା କ୍ଷେତ୍ରକର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 3 ମାର୍ଗ
କାଶା ତାଲା କ୍ଷେତ୍ରକର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 3 ମାର୍ଗ
ନିଲାନ ତାଲା କ୍ଷେତ୍ରକର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 3 ମାର୍ଗ
୬. ସନ୍ଧାନମାନ ଧରନ କ୍ଷେତ୍ରକର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 5 ମାର୍ଗ
୭. ସନ୍ଧାନମାନ କାର୍ଯ୍ୟକାରୀ କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 20 ମାର୍ଗ
୮. କ ମାନ୍ଦିକାରୀ କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 50 ମାର୍ଗ
୯. ଶ୍ରୀରାମମାନ କର୍ମଚାରୀ	ଲୋକାନନ୍ଦିତ ରାଜ୍ୟ	— 200 ମାର୍ଗ

ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରିଙ୍କାରୀ ପାଦମଣି ପାଦମଣିକାରୀ ପାଦମଣିକାରୀ ପାଦମଣିକାରୀ

გმოვიდა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“<sup>1</sup> ხელისმომწერთ თვისი მისამართი გვაცნობონ.

ქეთვალყურე